

თ. კუნძულია, მ. ქიტოშვილი

## სამთო საწარმოთა აეროლოგია

მეთოდური მითითებები  
ლაბორატორიული სამუშაოების შესასრულებლად

„ტექნიკური უნივერსიტეტი“

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თ. კუნძულია, მ. ქიტოშვილი

## სამთო საწარმოთა აეროლოგია

მეთოდური მითითებები  
ლაბორატორიული სამუშაოების შესასრულებლად



დამტკიცებულია სტუ-ს  
სარედაქციო-საგამომცემლო  
საბჭოს მიერ

თბილისი  
2007

მეთოდური მითითებები შეიცავს ხუთ ლაბორატორიულ სამუშაოს. თითოეულ ლაბორატორიულ სამუშაოში მოცემულია ამოცანის მიზანი, აღწერილია გამოყენებული ხელსაწყოები, სამუშაოს ჩატარების თანამიმდევრობა და მიღებული შედეგების გაფორმება.

ლაბორატორიული სამუშაოები შედგენილია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაღაროს აეროლოგიის, შრომის უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის №27 კათედრის თანამშრომელთა მიერ. ამოცანა №1 - ასოც. პროფესორი თ. კუნძულია; ამოცანა №2 - ასოც. პროფესორი თ. კუნძულია; ამოცანა №3 - ასოც. პროფესორი თ. კუნძულია; ამოცანა №4 - ასისტ. პროფესორი მ. ქიტოშვილი; ამოცანა №5 - ასისტ. პროფესორი მ. ქიტოშვილი.

რეცენზენტი ასოც. პროფ. ნ. მოლოდინი

## ლაბორატორიული სამუშაო №1

ჰაერის მოძრაობის სიჩქარის საზომი ზელსაწყოები  
და გაზომვის ხერხები

ჰაერის მოძრაობის სიჩქარე მიწისქვეშა გვირაბებში იზომება ანგმომეტრების საშუალებით. ანგმომეტრი არსებობს ორი სახის - ფრთებიანი და ჯამებიანი (სურ. 1.1 და სურ. 1.2). ფრთებიანი ანგმომეტრი გამოიყენება მცირე სიჩქარეების გასაზომად ( $0,1 - 5 \text{ მ/წმ}$ ), ხოლო ჯამებიანი დიდი სიჩქარეების გასაზომად ( $1 - 20 \text{ მ/წმ}$ ).



სურ. 1.1




სურ. 1.2

გვირაბში ჰაერის მოძრაობის სიჩქარის გასაზომად საჭიროა შევირჩიოთ გვირაბის სწორი და ნორმალური გამაგრების მქონე მონაკვეთი. ერთი და იგივე ადგილზე სიჩქარის გაზომვა ხდება ორგვერ ან სამკერ, რათა გამოირიცხოს რამე ცდომილება გაზომვის ჩატარებისას. თუ გაზომვის შედეგები არ განსხვავდება ერთმანეთისაგან  $5\%-ზე$  მეტი სიდიდით, თვლიან, რომ გაზომვა სწორედ არის ჩატარებული.

აღსანიშნავია, რომ როდესაც ჰაერი მოძრაობს მიწიქვეშა გვირაბში, ჰაერის ნაწილაკების გადაადგილების სიჩქარეები განსხვავდება ერთმანეთისაგან: ჰაერის ნაწილაკები, რომლებიც გადაადგილდებიან გვირაბის ცენტრში ან ცენტრთან ახლოს, მოძრაობენ უფრო სწრაფად, ვიდრე ის ნაწილაკები, რომლებიც გადაადგილდებიან გვირაბის კედლებთან, ჭერთან ან იატაკთან ახლოს. ამის გამო, როდესაც კლაპარაკობთ გვირაბში ჰაერის მოძრაობის სიჩქარეზე, ყოველთვის ვგულისხმოთ ჰაერის მოძრაობის საშუალო სიჩქარეს.


იმისთვის, რომ ანგმომეტრის საშუალებით გავზომოთ ჰაერის მოძრაობის საშუალო სიჩქარე, საჭიროა ანგმომეტრის მოძრავ ელემენტზე - ღერძზე დამაკრებულ ფრთებიან, ან ჯამებიან ბორბალზე იმოქმედოს გვირაბის განივი კვეთის ფაელა წერტილში არსებულმა ჰაერის ნაწილაკების გადაადგილების სიჩქარემ. ამ

მიზნით სიჩქარის გაზომვისას ანემომეტრი უნდა ვამოძრაოთ გვირაბის განივ კვეთში ნახ. 1.3-ზე მოცემული სქემის მიხედვით.



სურ. 1.3

პრ., წმ



სურ. 1.4

ვ. მ.წმ

ანემომეტრის საშუალებით ჰაერის მოძრაობის საშუალო სიჩქარის გასაზომად ყველაზე ხშირად გამოიყენება ხერხები: „გაზომვა ჩვენ წინ“ და „გაზომვა კვეთში“.

„გაზომვა ჩვენ წინ“ მდგომარეობს შემდეგში: ანემომეტრის ვამაგრებთ 1,5-2,0 მ სიგრძის ჯონის ბოლოზე, რომელიც მზომავს უჭირავს ხელში და ატარებს გვირაბის კვეთში სურ. 1.3-ზე მოცემული სქემის მიხედვით.

როდესაც გაზომვას ვაწარმოებთ ხერხით „გაზომვა კვეთში“, მზომავი დგება ზურგით გვირაბის კედელთან, მოძრაობს კვეთში განივი მიმართულებით და ატარებს ანემომეტრის სურ. 1.3-ზე მოცემული სქემის მიხედვით.

ჰაერის მოძრაობის სიჩქარის გაზომვას ახორციელებს ორი ადამიანი. ერთ მათგანს ხელში უჭირავს ანემომეტრი და გადაადგილდება ზემოთ ნაჩვენები სქემის მიხედვით, ხოლო მეორე მათგანს - წამზომი. მზომავები წინასწარ თანხმდებიან გაზომვის დროზე. გაზომვის დრო უნდა შევირჩიოთ ისეთნაირად, რომ მზომავმა მოასწროს გვირაბის განივი კვეთის ყველა წერტილში ანემომეტრის გატარება. სამთო საწარმოების აეროლოგიაში მიღებულია, რომ გაზომვის დროთ შევირჩიოთ 100 წმ.

ჰაერის მოძრაობის საშუალო სიჩქარის გასაზომად, საჭიროა ჩავატაროთ შემდეგი ოპერაციები და შემდეგი თანამიმდევრობით:

1. ავიღოთ ანემომეტრის მრიცხველზე საწყისი ანათვალი ყველა ისრის ჩვენების მიხედვით;

2. მოვათავსოთ ანემომეტრი მოძრავი ჰაერის ნაკადში და 10-15 წმ-ის განმავლობაში ვამუშაოთ იგი უქმ სელაზე (ეს საჭიროა, რათა დამყარდეს ხელ-საწყოს მუშა ბორბლის ბრუნვის სიჩქარე);

3. ერთდროულად ვრთავთ წამზომსა და ანემომეტრს და ვიწყებთ ანემომეტრის მოძრაობას გვირაბის განივ კვეთში;

4. 100 წმ-ის გასვლის შემდეგ გამოვრთოთ ანემომეტრი;

5. ავიღოთ ბოლო ანათვალი ანემომეტრის მრიცხველზე;

6. ვინგარიშოთ დანაყოფთა რიცხვი წამზი: ამისათვის განვსაზღვროთ

სხვაობა ანემომეტრის ბოლო და საწყის ანათვლებს შორის და იგი გაგეოთ გაზომვის ღროვე (100 წმ-ზე);

7. დავადგინოთ ჰაერის მოძრაობის საშუალო სიჩქარე გრაფიკის საშუალებით (ნახ. 1.4), რომელიც თან ახლავს ყველა ანემომეტრს და წარმოადგენს მის პასპორტს.

გაზომვის შედეგად მიღებული მონაცემები შევიტანოთ დაკვირვებათა ცხრილში (ცხრილი 1.1).

იმისთვის, რომ მივიღოთ ნამდვილი საშუალო სიჩქარე, გაზომვის ხერხის შესაბამისად ვსარგებლობთ შესაბამისი შემასწორებელი K კოეფიციენტით. მაშინ, როდესაც ჰაერის სიჩქარეს ვზომავთ ხერხით „ჩვენს წინ“ -  $K=1,14$ , ხოლო თუ ჰაერის სიჩქარეს ვზომავთ ხერხით „გაზომვა კვეთში“

$$K = \frac{S-0,4}{S},$$

სადაც S არის გვირაბის განივი კვეთი, მ<sub>2</sub>.

ცხრილი 1.1

№	რიგზე	ზელასაწყისი დასახულება	ანემომეტრის ჩვენება		გაზომვის დღი, წე	ანათვალით შერჩს სხვაგან	ანალიზით რიცხვი წე-ზე	პარკის მოძრაობის სიჩქარე, მწე
			საწყისი ანათვალი	პოლო განვალი				
		ფრთისანი ანემომეტრი						

## ლაპორატორიული სამუშაო №2

გვირაბის აეროდინამიკური წინაღობის კოეფიციენტის განსაზღვრა

გვირაბებში ჰაერის მოძრაობის დროს ადგილი აქვს ენერგიის კარგვას. ეს ენერგია ისარჯება იმ წინაღობათა გადასალახავად, რომელიც ჰაერს ხვდება გვირაბებში მოძრაობის დროს.

გვირაბებში ჰაერის მოძრაობის დროს წინაღობის კანონში გვულისხმობთ დამოკიდებულებას წნევის ვარდნას, ჰაერის მოძრაობის სიჩქარესა და გვირაბების გეომეტრიულ ზომებს შორის. აღნიშნულ დამოკიდებულებას ნათლად ასახავს გან-ტოლება

$$h = \alpha \cdot \frac{P \cdot L}{S^3} \cdot Q^2 \quad (2.1)$$

სადაც  $h$  არის წნევის ვარდნა (დეპრესია), მმ წყ.სვ.

$L$  - გვირაბის სიგრძე, მ

$S$  - გვირაბის განივი კვეთი,  $\text{მ}^2$

$P$  - გვირაბის პერიმეტრი, მ

$Q$  - გვირაბში გამავალი ჰაერის რაოდენობა,  $\text{მ}^3/\text{წმ}$

$$(2.1) \text{ განტოლებაში } \frac{\alpha \cdot P \cdot L}{S^3} \quad \text{წარმოადგენს} \quad \text{გვირაბის} \quad \text{აეროდინამიკურ}$$


წინაღობას და აღნიშნება  $R$ -ით, ხოლო  $\alpha$  არის აეროდინამიკური წინაღობის კოეფიციენტი, რომელიც დგინდება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ექსპრიმენტალურად.

განტოლება (2.1) არის ძირითადი განტოლება მაღაროს აეროლოგიაში, რომელიც საშუალებას გვაძლევს გავიანგარიშოთ ცალკეული გვირაბებისა და მთლიანი შახტის დეპრესია. ვენტილაციის პროექტირების დროს (2.1) განტოლებაში შემავალი  $P$ ,  $S$ ,  $L$  და  $Q$  სიდიდეები წინასწარ არის ცნობილი, ამიტომ დეპრესიის სწორად გაანგარიშება დამოკიდებულია იმზე, თუ რამდენად სწორად არის შერჩეული კოეფიციენტი  $\alpha$ -ს რიცხვითი მნიშვნელობა, რომელსაც გვირაბის აეროდინამიკური წინაღობის კოეფიციენტი ეწოდება.

თუ კოეფიციენტი  $\alpha$ -ს მნიშვნელობა არ არის სწორად დადგენილი, შეუძლებელია დეპრესიის სწორად ანგარიში. აქედან გამომდინარე არ იქნება სწორად შერჩეული მთავარი განივების ვენტილატორი და შახტა ვერ მიიღებს ჰაერის საჭირო რაოდენობას, რაც სშირად ყოფილა აუეთქებისა და ხალხის დაღუპვის მიზეზი.

დავადგინოთ შახტა-ლაბორატორიაში ნებისმიერი გვირაბის  $\alpha$  კოეფიციენტის სიღრიძე. ამისათვის საჭიროა გაუზომოთ გვირაბის აღებული მონაკვეთის დეპრე-

სია, მასში გამავალი ჰაერის რაოდენობა და გვირაბის გეომეტრიული ზომები. დეპრესიის გასაზომად გამოიყენება მიკრომანომეტრი, ჰაერმზომი მიღლაკი (პიტოს მილი) და რეზინის შლანგები. მუშა უბანზე (ნახ. 2.1) თავსა და ბოლოში დგება ორი ჰაერმზომი მიღლაკი. მიკრომანომეტრი უნდა მოვათავსით საზომი უბნის გარეთ და რეზინის შლანგებით ჰაერმზომი მიღლაკები მივუერთოთ მიკრომანომეტრს ისე, როგორც ეს ნაჩვენებია ნახ. 2.1-ზე. მოსალოდნელი დეპრესიის



ნახ. 2.1

სიდიდის მიხედვით დავაყენოთ მიკრომანომეტრის დახრილი მიღლი შესაბამის დახრის კუთხეზე. სპირტის დონის დაზუსტება ხდება რეგულატორის საშუალებით. მიღლებული სპირტის დონეთა შორის სხვაობა გადაგვავს ვერტიკალურ სვეტებში შემდეგი ფორმულით:

$$h_{\text{ვეტ}} = (h_{\text{საბ}} - h_{\text{საწ}}) \cdot F \cdot \Delta_{\text{ს}} \cdot \varepsilon, \text{ მმ წყ.სვ} \quad (2.2)$$

სადაც  $h_{\text{საბ}}$  არის სპირტის საბოლოო დონე დახრილ მიღლში, მმ

$h_{\text{საწ}}$  - სპირტის საწყისი დონე დახრილ მიღლში, მმ


$F$  - მიკრომანომეტრის დახრილი მიღლის დახრის კუთხე.

$\Delta_{\text{ს}}$  - მიკრომანომეტრში ჩასხმული სპირტის მოცულობითი წონა.

$\varepsilon$  - მიკრომანომეტრის შემასწორებელი კოეფიციენტი.

ჰაერის რაოდენობის (ხარჯის) დასადგენად საჭიროა გავზომოთ გვირაბში ჰაერის მოძრაობის საშუალო სიჩქარე. ჰაერის მოძრაობის საშუალო სიჩქარე გვირაბში შეიძლება გავზომოთ ანგიომეტრით (იხ. ლაბორატორიული სამუშაო №1) ან მიკრომანომეტრითა და ჰაერმზომი მიღლაკით.

იმისათვის, რომ დავადგინოთ ჰაერის მოძრაობის სიჩქარე, საჭიროა მიკ-



რომანომეტრითა და ჰაერმზომი მიღლაკით ნახ. 2.2-ზე მო-

$$V = \sqrt{\frac{2 \cdot g \cdot h_{\text{ს}}}{\gamma}}, \text{ მ/წმ} \quad (2.3)$$

სადაც  $h_{\text{სდ}}$  არის სიჩქარითი დაწნევის გაზომილი სიდიდე,  $\text{კგ}/\text{მ}^2$ .

$g$  - თავისუფალი გარღნის აჩქარება

$\gamma$  - ჰაერის მოცულობითი წონა

ამის შემდეგ ვიანგარიშებთ, რა გვირაბში გამავალ ჰაერის რაოდენობას (ხარჯს)

$$Q = V \cdot S, \text{მ}^3/\text{წმ} \quad (2.4)$$

განვსაზღვრავთ გვირაბის აეროდინამიკური წინაღობის კოეფიციენტი  $\alpha$ -ს მნიშვნელობას ფორმულით

$$\alpha \cdot 10^4 = \frac{h \cdot S^3}{P \cdot L \cdot Q^2}, \frac{\text{მძ} \cdot \text{წ}^2}{\text{მ}^4}, \quad (2.5)$$

გაზომვისა და ანგარიშის შედეგად მიღებული შედეგები შეგვაძეს დაკვირვებათა ცხრილში (ცხრილი 2.1)

ცხრილი 2.1

	№ რიგზე	გაზიარების აღგები	გვირაბის სივრცე, მ	გვირაბის განივი კვეთი, მ <sup>2</sup>	გვირაბის პერიფერია, მ	წნევის კარღნა (დეპრესა), კგ/მ <sup>2</sup>	სიჩქარითი დაწნევა, კგ/მ <sup>2</sup>	ჰაერის მომრავბის სიჩქარე, მწმ	გვირაბში გამავალი ჰაერის რაოდენობა, მ <sup>3</sup> /წმ	აეროდინამიკური წინაღობის აუცილებელობა $\alpha \cdot 10^4$ კგ $\cdot$ წ <sup>2</sup> /მ <sup>4</sup>

## ლაპონიური სამუშაო №3

### ადგილობრივი წინაღობები და მათი განვარიშება მაღაროებში

ადგილობრივ წინაღობებს განაპირობებს მოძრავი ჰაერის ნაკადის სიჩქარის ცვლილება სიდიდით და მიმართულებით, რაც იწვევს მისი სტრუქტურის შეცვლას, გრიგალური მოძრაობის წარმოშობას და დამატებით ენერგიის კარგვას, რომელსაც ადგილობრივ კარგვებს ანუ ადგილობრივ წინაღობებს უწოდებენ.

ადგილობრივ წინაღობებში ვგულისხმობთ: გვირაბების უეცარ გაფართოებას ან შევწროებას, სავანტილაციო ფანჯრებს, საპარო ზიდებს (კროსინგებს), ვენტილატორის არხს და სხვა.

შახტის საერთო დეპრესიის ანგარიშის დროს მხედველობაში მიიღება როგორც ხახუნის წინაღობა, ასევე ადგილობრივი წინაღობაც, ე.ი.

$$h_{\text{აფ}} = h + h_{\text{ად}}, \frac{g}{\beta^2} \quad (3.1)$$

სადაც  $h$  არის გვირაბებში ენერგიის კარგვები, მირითადად ხახუნის წინაღობა (დეპრესია);

$h_{\text{ად}}$  - ადგილობრივ წინაღობებზე დაკარგული ენერგია (დეპრესია).

სამთო საწარმოთა აეროლოგიაში ადგილობრივ წინაღობათა მიერ გამოვეული წნევის დანაკარგი იანგარიშება ფორმულით

$$h_{\text{აფ.}} = \varepsilon \cdot \frac{V^2}{2 \cdot g} \cdot \gamma, \frac{g}{\beta^2} \quad (3.2)$$

სადაც  $h_{\text{აფ.}}$  არის წნევის დანაკარგი (დეპრესია) ჰაერის მიერ ადგილობრივი წინაღობის გადალახვის დროს;


$\varepsilon$  - ადგილობრივი წინაღობის კოეფიციენტი, რომელიც არის უგანზომილებო კოეფიციენტი და მისი სიდიდე განისაზღვრება ექსპერიმენტალურად ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის;

$V$  - ჰაერის მოძრაობის სიჩქარე,  $\text{მ}/\text{წ}^3$ ;

$\gamma$  - ჰაერის მოცულობითი წონა,  $\text{კგ}/\text{მ}^3$ ;

$g$  - სიმბიმის ძალის აჩქარება,  $g=9,81$ .

ადგილობრივი წინაღობის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მაგალითი საშახტო პრაქტიკში არის გვირაბების უეცარი გაფართოება ან უეცარი შევიწროება. სქემატურად ეს ადგილობრივი წინაღობები ნაჩვენებია ნახ. 3.1.



ნახ. 3.1

ლაბორატორიული სამუშაოს მიზანია, განვსაზღვროთ შახტა-ლაბორატორიული ადგილობრივი წინაღობის სიდიდე გვირაბების უცარი გაფართოების შემთხვევაში (ნახ. 3.1 ა).

ენერგიის კარგვა გვირაბების უცარი გაფართოების შემთხვევაში, როდესაც ჰაერის ნაკადი ვიწრო კვეთიდან გადადის ფართე კვეთში იანგარიშება ფორმულით

$$h_{\text{ყვ}} = \frac{(V_1 - V_2)^2 \cdot \gamma}{2 \cdot g}, \text{ მ}^2/\text{მ}^2 \quad (3.3)$$

სადაც  $V_1$  არის ჰაერის მოძრაობის საშუალო სიჩქარე ვიწრო კვეთში, მ/წმ;

$V_2$  - ჰაერის მოძრაობის საშუალო სიჩქარე ფართე კვეთში, მ/წმ.

ენერგია, რომელიც ისარჯება უცარი გაფართოების დროს ვანგარიშოთ (3.2) გამოსახულებით, მხოლოდ  $V_1$ -ს ნაცვლად უნდა ჩავსვათ ჰაერის მოძრაობის საშუალო სიჩქარე ფართე კვეთში -  $V_2$ , მ/წმ.

ადგილობრივი წინაღობის  $\varepsilon$  კოეფიციენტის მნიშვნელობას გვირაბების განვივი კვეთების ფარდობის  $\frac{S_2}{S_1}$ -ის შესაბამისად ვიღებთ ცხრილი 3.1-დან.

ცხრილი 3.1.

$\frac{S_2}{S_1}$	1,0	1,25	1,5	2,5	3,0	3,5	4,0	5,0	6,0	7,0	8,0	9,0
მნიშვნელობა	0	0,06	0,25	2,25	4,0	6,25	9,0	10,5	25,0	36,0	49,0	64,0

ცხრილში 3.1 მოცემული კოეფიციენტი  $\varepsilon$ -ის მნიშვნელობები ისეთი გვირაბებისთვის, რომელთაც ახასიათებთ სხვადასხვა სიმქისე, გადიდებული უნდა იქნეს შესაბამისად, გვირაბის სიმქისისდა მიხედვით:

თუ სიმქისეა 0,001, მაშინ  $\varepsilon$  უნდა გაიზარდოს 20-25%-ით;

თუ სიმქისეა 0,001 - 0,0015 - 25-50%-ით;

თუ სიმქისეა 0,0015 - 0,0020 - 50-75%-ით;

თუ სიმქისეა 0,0020 - 0,0025 - 100%-ით.

გვირაბების უეცარი გაფართოების ან უეცარი შევიწროების დროს, გარდა წნევის კარგვისა, შეგვიძლია ვიანგარიშოთ თვითონ ადგილობრივი წინაღობაც

$$R_{\text{ა.წ.}} = \varepsilon \cdot \frac{\gamma}{2 \cdot g \cdot S^2}, \quad \frac{\partial \cdot \gamma^2}{\partial \varepsilon}, \quad (3.4)$$

თუ (3.4)-ში შევიტანთ  $\gamma$ -სა და  $g$ -ს რიცხვით მნიშვნელობებს, მაშინ

$$R_{\text{ა.წ.}} = 0,0612 \frac{\varepsilon}{S^2} \quad (3.5)$$

და შესაბამისად

$$\varepsilon = \frac{S^2 \cdot R_{\text{ა.წ.}}}{0,0612} = 16,34 \cdot R_{\text{ა.წ.}} \cdot S^2 \quad (3.6)$$

გარდა ამისა, გვირაბების უეცარი გაფართოების ან უეცარი შევიწროების შედეგად გამოწვეული ადგილობრივი წინაღობა შეიძლება გამოვსახოთ გვირაბის ექვივალენტური სიგრძის საშუალებით შემდეგი ფორმულით:

$$L_{\text{ა.ბ.}} = \frac{0,015}{\alpha_2} \left( \frac{S_2}{S_1} - 1 \right)^2 \cdot \sqrt{S_2 \cdot \delta} \quad (3.7)$$

სადაც  $L_{\text{ა.ბ.}}$  არის უეცარი გაფართოების შედეგად გამოწვეული ექვივალენტური წინაღობა, გამოსახული ფართე გვირაბის სიგრძეში, მ;

$S_1$  - გვირაბის ვიწრო კვეთი,  $\text{მ}^2$ ;

$S_2$  - გვირაბის ფართე კვეთი,  $\text{მ}^2$ ;

$\alpha_2$  - გვირაბის ფართე კვეთის აეროდინამიკური წინაღობის კოეფიციენტი.

განვიხილოთ მაგალითი, თუ როგორ ხდება ადგილობრივი წინაღობის სიდიდის დაგენა გვირაბის უეცარი გაფართოების შემთხვევაში (ნახ. 3.1 ა.)

მივიღოთ:  $S_1=4,0 \text{ მ}^2$ ;  $S_2=10,0 \text{ მ}^2$ ;

ვიცით, რა გვირაბის კვეთში, შეგვიძლია დავადგინოთ უეცარი გაფართოების შემთხვევაში ენერგიის კარგვა ადგილობრივ წინაღობაზე. ამისათვის ვიქცევით შემდეგნაირად: გავზომოთ სიჩქარითი დაწნევა მიკრომანიმეტრით და ჰაერმზომი მილაკით ფართე კვეთში ნახ. 2.2-ზე მოცემული სქემის მიხედვით (იხ. ლაბორატორიული სამუშაო №2), რის შემდეგაც ფორმულით (2.3) დავადგინოთ ჰაერის მოძრაობის სიჩქარე  $S_2$  კვეთში (ფართე კვეთში). დავუშვათ სიჩქარე მივიღეთ  $V_2=4 \text{ მ/წმ}$ . იგივე ფართე კვეთში, გვირაბის სიმქისე - აეროდინამიკური წინაღობის კოეფიციენტი,  $\alpha \cdot 10^4 = 0,0004$ .

ვიცით რა ჰაერის მოძრაობის სიჩქარე, შეგვიძლია განგსაზღვროთ ენერგიის

კარგვა უმცარი გაფართოების დროს. კოეფიციენტი  $\varepsilon$ -ის მნიშვნელობას ვიღებთ ცხრ. 3.1-დან, როდესაც

$$\frac{S_2}{S_1} = \frac{10,0}{4,0} = 2,50, \quad \varepsilon = 2,50,$$

რომელსაც ვაღიძებთ 10%-ით. ყველა ამ მონაცემის ჩასმით (3.2)-ში მივიღებთ:

$$h_{\text{ა.წ.}} = 2,25 \cdot 1,1 \cdot \frac{4^2}{19,62} \cdot 1,2 = 2,4 \text{ (მმ/მ²)}$$

ესლა განვსაზღვროთ, გვირაბის ეპივალეტური სიგრძე (3.7), ანუ განვ-საზღვროთ, თუ  $S_2=10,0 \text{ მ}^2$ , განიკვეთის გვირაბი, როგორი სიგრძის შემთხვევაში უზრუნველყოფს იგივე ენერგიის კარგას, როგორსაც იწვევს აღნიშნული აღგ-ილობრივი წინაღობა:

$$L_{\text{ა.ბ.}} = \frac{0,015}{0,0004} \left( \frac{10,0}{4,0} - 1 \right)^2 \cdot \sqrt{10,0} = 267,0 \text{ (მ)}$$

## ლაპორატორიული სამუშაო №4

### საწავებში მეტეოროლოგიური პირობების გამოკვლევა

ადამიანის ორგანიზმზე მეტეოროლოგიური პირობების გავლენა განისაზღვრება ჰაერის ტემპერატურით, ფარდობითი ტენიანობით, ჰაერის მოძრაობის სიჩქარითა და ატმოსფერული წნევით.

ადამიანი მუდმივად გამოყოფს სითბოს გარკვეულ რაოდენობას, რომელიც ცვალებადობს იმის მიხედვით, ასრულებს იგი ფიზიკურ სამუშაოს, თუ იმყოფება მშვიდ ძღვომარეობაში.

ადამიანი, თავის საჭიროებისათვის იყენებს ორგანიზმში გამოყოფილ სითბოს რაოდენობის მხოლოდ 10-15%-ს, რაც აუცილებელია ჩასუნთქული ჰაერისა და მიღებული საკვების გასათბობად. სითბოს დანარჩენი ნაწილი გადაეცემა გარემოს, რის გამოც სხეულის ტემპერატურა რჩება თითქმის მუდმივი.

იმისთვის, რომ არ მოხდეს ადამიანის ორგანიზმში ზედმეტი სითბოს დაგროვება ან ორგანიზმიდან ზედმეტი სითბოს გაცემა (რაც გამოიწვევს ორგანიზმის გაცივებას), საჭიროა სხეულმა სისტემატურად მოახდინოს სითბოს ბალანსის რეგულაცია ანუ თერმორეგულაცია. თერმორეგულაცია ეწოდება ორგანიზმში მიმდინარე ფიზიოლოგიურ პროცესს, რომელიც მიმართულია იქთვენ, რომ სხეულმა მუდმივად შეინარჩუნოს მეტად თუ ნაკლებად ერთნაირი ტემპერატურა - 36,5°C.


აღნიშნული თერმორეგულაცია ძირითადად დამოკიდებულია ჰაერის ტემპერატურაზე, ტენიანობასა და მისი მოძრაობის სიჩქარეზე. ასე, მაგალითად, ტემპერატურის მომატება, განსაკუთრების მიმე სამუშაოს შესრულების დროს, ანგლებს სითბოს გაცემას ადამიანის ორგანიზმიდან, რაც იწვევს მის ორგანიზმში თერმორეგულაციის პროცესის დარღვევას. თერმორეგულაცია დამოკიდებულია აგრეთვე ჰაერის ტენიანობაზე და მისი მოძრაობის სიჩქარეზე.

დადგენილია, რომ ადამიანის ორგანიზმის ნორმალური გაგრილებისათვის, მოცემული ტემპერატურის დროს, რაც მეტია ჰაერის მოძრაობის სიჩქარე, მით მეტი უნდა იყოს ჰაერის ტენიანობა; განსაზღვრული ტენიანობის დროს კი საჭიროა მით უფრო მაღალი ჰაერის ტემპერატურა, რაც უფრო მეტია მისი მოძრაობის სიჩქარე; განსაზღვრული ჰაერის მოძრაობის სიჩქარის დროს კი მით უფრო მეტი უნდა იყოს ჰაერის ტენიანობა, რაც უფრო ნაკლებია მისი ტემპერატურა.

გავარკვიოთ შახტა-ლაბორატორიის გვირაბებში მეტეოროლოგიური პირობების მდგომარეობა, რისთვისაც ამოცანის პირობის თანახმად გავეცნოთ ჰაერის ტემპერატურის, ტენიანობისა და ჰაერის მოძრაობის სიჩქარის საზომ ზელსაწყობსა და გაზომვის ხერხებს.

ტემპერატურისა და ჰაერის ფარდობითი ტენიანობის გასაზომად გამოიყენება ფსიქომეტრები. ფსიქომეტრი არსებობს ორი სახის სტაციონარული და ასპირაციული. მიწისქვეშა გვირაბებში ფარდობითი ტენიანობის გასაზომად

გამოიყენება ასპირაციული ფსიქრომეტრი (ნახ. 4.1). იგი შედგება ლითონის ჩარჩოში ჩადგმული ორი თერმომეტრის, ვენტილატორისა (1) და ვენტილატორის გასაშვები სახელურისაგან (2).



ნახ. 4.1

ფსიქრომეტრში არსებული ორი თერმომეტრიდან ერთ-ერთის ვერცხლისწყლის ბურთულას შემოხვეული აქვს ქსოვილი. ამ თერმომეტრს სველი თერმომეტრი ეწიდება, ხოლო მეორე ჩვეულებრივი ვერცხლისწყლიანი თერმომეტრია. თერმომეტრების გარდა ფსიქრომეტრს გააჩნია ვენტილატორი ზამბარიანი მქანიზმით.

ფარდობითი ტენიანობის გაზომვის წინ სველი თერმომეტრის ბურთულაზე შემოხვეულ ქსოვილს ვასველებთ გარემოს ტემპერატურის მქონე გამოხდილი წყლით. ამის შემდეგ ზამბარიანი მქანიზმის მომართვით ვრთავთ ვენტილატორს, რომლის შეწოვილი ჰაერი გარსშემოედინება ვერცხლისწყლის ბურთულებს (ორივე: მშრალ და სველ თერმომეტრში) და აგრილებს მათ. ვენტილატორის გაშვებიდან 1,5 - 2,0 წთ-ის შემდეგ ერთდროულად ვიღებთ ანათვალს მშრალ და სველ თერმომეტრებზე. ანათვალთა შორის სხვაობის მიხედვით განვსაზღვრავთ ფარდობითი ტენიანობას ფსიქრომეტრული ცხრილის, ფსიქრომეტრული ნომოგრამის ან ფორმულის საშუალებით:

$$\varphi = \left[ F_1 - 0,5(t_{\text{შ}} - t_{\text{v}}) \frac{P}{753} \right] \cdot \frac{100}{F} \quad (4.1)$$

სადაც  $F_1$  არის წყლის ორთქლის მაქსიმალური შემცველობა 1 მ<sup>3</sup> ჰაერში (მაქსიმალური ტენიანობა) სველი თერმომეტრის ჩვენების მიხედვით;

$F$  - წყლის ორთქლის მაქსიმალური შემცველობა 1 მ<sup>3</sup> ჰაერში მშრალი თერმომეტრის ჩვენების მიხედვით;

$t_{\text{შ}}$  - მშრალი თერმომეტრის ჩვენება;

$t_{\text{v}}$  - სველი თერმომეტრის ჩვენება;

$P$  - ბარომეტრული წნევა.

გაზომვისა და ანგარიშის შედეგები შეგვაძეს ცხრილში 4.1

ცხრილი 4.1

ხელსაწყოს დასახელება	თერმომეტრის ჩვენება		ჩვენებათა შორის სხვაობა, 0C	ფარდობითი ტენიანობა, %		
	სველი, 0C	მშრალი, 0C		ფორმულით (4.1)	ფსიქრომეტ- რული ცხრილით	ფსიქრომეტ- რული ნომოგრამით
ასპირაციუ- ლი ფსი- ქრომეტრი						

პაერის მოძრაობის სიჩქარის გასაზომად შესაძლებელია გამოვიყენოთ ანე-მომეტრი (იხ. ლაბორატორიული სამუშაო №1) ან მიკრომანომეტრი და პაერმზო-მი მიღავთ (იხ. ლაბორატორიული სამუშაო №2). ამ უკანასკნელ შემთხვევაში საჭიროა გაზომოს სიჩქარითი დაწილების სიდიდე (h<sub>1</sub>) და შემდეგ (2.3) ფორ-მულით ვიანგარიშოთ პაერის მოძრაობის სიჩქარე.

გაზომვით მიღებულ პაერის ტემპერატურის, ფარდობითი ტენიანობისა და პაერის მოძრაობის სიჩქარის მნიშვნელობებს ვადარებთ ამ პარამეტრების და-საშვებ ნორმებს და სამუშაო ადგილებზე მიღებული მეტეოროლოგიური პირობე-ბიდან გამომდინარე ვადგენთ, თუ რა ღონისძიებები უნდა გატარდეს რათა შეი-ქმნას ადამიანის ორგანიზმისათვის ნორმალური მუშაობის პირობები.

უსაფრთხოების წესებისა და სანიტარული ნორმების შესაბამისად მიწისქვეშა გვირაბებში სამუშაო ადგილებზე მიკროკლიმატის (მეტეოროლოგიური პირობე-ბის) პარამეტრების დასაშვები მნიშვნელობები მოცემულია ცხრილში 4.2.

#### ცხრილი 4.2

პაერის მოძრაობის მაქსიმალური და- საშვები სიჩქარე, გ/წმ	პაერის დასაშვები ტემპერატურა, 0C		
	ფარდობითი ტენი- ანობა 60 - 75 %	ფარდობითი ტენი- ანობა 75 - 90 %	ფარდობითი ტენი- ანობა >90 %
0,25	24	22	22
0,50	25	23	23
1,50	26	24	24
2,00	26	25	25

## ლაპონიატონიული სამუშაო №5

ჰერის მტვრიანობის განსაზღვრა საწარმოო სათავსებში

მტვერი არის საწარმოო პროცესის შესრულების დროს წარმოშობილი მყარი სხეულის უმცირესი ნაწილაკები, რომლებიც ჰერში გარკვეული დროის განმავლობაში იმყოფებან შეტივტივებულ ძღვობირეობაში.

მტვრის რეჟიმისა და მტვობის სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვის მიზნით საჭიროა რეგულარულად გაიზომოს სამუშაო ზონის ჰერში მტვრის კონცენტრაცია. სამთო საწარმოებში ჰერის მტვრიანობის განსაზღვრა წარმოებს ძირითადად წონითი მეთოდით.

ჰერში მტვრის ნაწილაკების შემცველობის განსაზღვრა წონითი მეთოდით დამყარებულია მტვრის დამჭერ ფილტრში გარკვეული რაოდენობის მტვრიანი ჰერის გატარებაზე და შემდეგ, მტვრის წონითი რაოდენობის განსაზღვრაზე ერთ კუბურ მეტრ ჰერში.

ფილტრად გამოიყენება ჰიგროსკოპული და მინის ბამბა, უნაცრო ქაღალდი და სპეციალური პოლიმერები. ფილტრი თავსდება სპეციალურ დამჭერში - ალონჟში. თუ ფილტრი ბამბისაა, მაშინ გამოიყენება მინის ალონჟი, ხოლო ქაღალდის ან პოლიმერის ფილტრის შემთხვევაში - ლითონის ან პლასტმასის ალონჟი.

ფილტრში გატარებული ჰერის რაოდენობა დამოკიდებულია მტვრიანობაზე: რაც უფრო მეტია ჰერში მტვრის კონცენტრაცია, მთა უფრო ნაკლებია გასატარებელი ჰერის მოცულობა, რომლის განსაზღვრაც წარმოებს რეომეტრის ან როტამეტრის საშუალებით.

სინის ასალები დანადგარი შედგება ფილტრანი ალონჟის, რეომეტრის (როტამეტრის) და ასპირაციული ხელსაწყოსაგან.

ფილტრში ჰერს ვატარებთ მანმადე, ვიდრე არ მივიღებთ ფილტრზე 5-6 მგ წონის ნამატს, რაც საწარმოო პირობებში შესაძლებელია 10-15 წთ-ის განმავლობაში (ლაბორატორიაში ფილტრში ჰერის გატარება შეიძლება ვაწარმოოთ 2-3 წთ-ის განმავლობაში).

ჰერის მტვრიანობის განსაზღვრისათვის ვიქცევით შემდეგნაირად: ცდის წინ კარგად ვამომშრალ ფილტრს ვწონით და ვათავსებთ ალონჟში. შემდეგ ასპირაციული ხელსაწყოს საშუალებით ხდება მტვრიანი ჰერის გატარება ფილტრში და ფილტრის აწონვა ცდის დამთავრების შემდეგ. ფილტრში გატარებული ჰერის მოცულობით სიჩქარე დგინდება რეომეტრის (როტამეტრის) საშუალებით, ხოლო ცდის ჩატარების ხანგრძლივობა - წამზომის საშუალებით.

ცდის შედეგად მიღებული შედეგების მიხედვით ჰერში მტვრის კონცენტრაციის ანგარიში წარმოებს შემდეგნაირად:

ჰერში მტვრის კონცენტრაცია განისაზღვრება ფორმულით:

$$C_p = \frac{P_1 - P}{V_0} \cdot 1000, \text{მგ/მ}^3. \quad (5.1)$$

სადაც  $P_1$  არის ფილტრის (ალონჟის) წონა ცდის შემდეგ (მტვრიანი ჰაერის გატარების შემდეგ), მგ.

$P$  - ფილტრის (ალონჟის) წონა ცდამდეგ, მგ.

$V_0$  - ფილტრში გატარებული ჰაერის მოცულობა დაყვანილი ნორმალურ პირობებზე (ე.ი. ისეთ მოცულობაზე, როგორიც მას ექნება  $0^{\circ}\text{C}$  ტემპერატურისა და  $760$  მმ ვერც. წყ. სკ. წნევის დროს), ლ. იგი განისაზღვრება ფორმულით:

$$V_0 = \frac{V_t \cdot 753}{273 + t}, \text{ ლ.} \quad (5.2)$$

სადაც  $V_t$  არის ჰაერის მოცულობა, რომელიც გადის ფილტრში ცდის პირობებში, ლ;

$t$  - ჰაერის ტემპერატურა სინჯის აღების ადგილზე,  $^{\circ}\text{C}$ .

მიღებული შედეგები შეგვაქვს დაკვირვებათა ცხრილში

ცხრილი 5.1

ცდის №	ჰაერის სინჯის აღების ადგილი	ფილტრის წონა ცდის შედეგი $P_t$ , მგ	ფილტრის წონა ცდის შედეგი $P_0$ , მგ	ჩელაწყოს დაფრაგმა	მანძილშის ჩვენება რეაქტორზე, მმ წყ. სკ.	ნიმუშობრივი ჰაერის შეწოვის მოცულობით სიტერზე, ლ/წთ	ცდის ჩატარების ხანგრძლივობა, წთ	გატარებული ჰაერის მოცულობა, $V_t$ , ლ	ღაშტრილი მტვრის წონა $(P_1 - P_t)$ , მგ	მტვრის განცენტრაცია ჰაერში, $C_p$ , მგ/მ <sup>3</sup>

ანგარიშით მიღებული მტვრის კონცენტრაცია ჰაერში უნდა შევადაროთ სან-იტარულ ნორმებს. ამ ნორმებით დადგენილია მტვრის დასაშვები კონცენტრაციები მასში კაშმიწის ( $\text{SiO}_2$ ) შემცველობის მიხედვით:

1. მტვერი, რომელიც შეიცავს 70%-ზე მეტი  $\text{SiO}_2$  -  $1,0$  მგ/მ<sup>3</sup>;
2. მტვერი, რომელიც შეიცავს 10-70%  $\text{SiO}_2$  -  $2,0$  მგ/მ<sup>3</sup>;
3. მტვერი, რომელიც შეიცავს 5%-მდე  $\text{SiO}_2$  -  $4,0$  მგ/მ<sup>3</sup>;
4. მტვერი, რომელიც არ შეიცავს  $\text{SiO}_2$  -  $10,0$  მგ/მ<sup>3</sup>.

## 08გეჭდება ავტორის მიერ ჭარმოდგენილი სახით

გადაეცა წარმოებას 26.05.2007. ხელმოწერილია დასაბეჭდად 05.06.2007. ქაღალდის ზომა 60X84 1/16. ბეჭდვა ოფსეტური. პირობითი ნაბეჭდი თაბაზი 1,125. ტირაჟი 100 გგ<sup>ზ.</sup>.

საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“  
თბილისი, კოსტავას 77

